

**შპს „ავერსის კლინიკა“ აცხადებს ტენდერს  
ოფთალმოლოგიური აპარატურის შესყიდვის თაობაზე**

შპს „ავერსის კლინიკა“ აცხადებს ტენდერს შემდეგი აპარატურის შესასყიდად:

1. ბიომიკროსკოპი, რაოდენობა 1ც, დანართი №1.1.
2. პორტატული რეფრაქტომეტრი, რაოდენობა 1ც, დანართი №1.2
3. პორტატული ფუნდუს კამერა, რაოდენობა 1ც, დანართი №1.3.

**შენიშვნა:** პრეტენდენტმა შესაძლებელია წარმოადგინოს შემოთავაზება ერთ ან რამოდენიმე აპარატზე

- ოფთალმოლოგიური აპარატურის ტექ. დახასიათება მოცემულია დანართებში №1.1- №1.3
- აფიდავიტი მოცემულია დანართში №2;
- ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი მოცემულია დანართში №3;
- მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 27ბ

**დაინტერესებულმა კანდიდატმა სატენდერო წინადადებაში უნდა მიუთითოს შემდეგი ინფორმაცია:**

- აპარატურის დასახელება, ფასი, ტექნიკური მახასიათებლები (პარამეტრები), რომლებიც წარმოდგენილ უნდა იქნას წინამდებარე განცხადებაზე დართული ფორმის შესაბამისად
- მისაწოდებელი აპარატურის ღირებულება\* (ღირებულება მითითებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით), რომელშიც ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას მიწოდების ადგილამდე ტრანსპორტირების ღირებულებაც;
- ღირებულების გადახდის პირობა;
- მიწოდების ვადა;
- საგარანტიო პირობები, ვადა; საგარანტიო პერიოდში ნაკლის გამოსწორების ვადა;
- სერვისული მომსახურების პირობები;
- წარმოშობის ქვეყანა;

ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში, ავანსის შემთხვევაში, მოეთხოვება წარადგინოს შემსყიდველისათვის მისაღები ბანკიდან/სადაზღვევო კომპანიიდან გარანტიის წარმოდგენა – საავანსო თანხის ღირებულების ოდენობით.

**ტენდერში მონაწილეობისთვის დაინტერესებულმა კანდიდატებმა ელექტრონული სისტემის eTenders.ge–ს საშუალებით, 2023 წლის 23 იანვარს, 15:00 სთ–მდე უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:**

- პრეტენდენტის რეკვიზიტები: სრული დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი, პასუხისმგებელი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, საბანკო რეკვიზიტები;
- სრულყოფილად შევსებული ტექნიკური მახასიათებლების შემცველი ფორმა - დანართი №1.1-1.3 უნდა იყოს წარმოდგენილი „ექსელის“ ფორმატში.
- პროსპექტი ( ელ ვერსია)
- ხელმოწერილი აფიდავიტი დანართის №2 სახით;
- ბოლო ორი წლის განმავლობაში, პრეტენდენტის მიერ მიწოდებული ანალოგიური აღჭურვილობის სია და ორი შემსყიდველი პირის რეკომენდაცია;

*წარმოდგენილი დოკუმენტაცია ხელმოწერილ უნდა იქნას პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ.*

**პრეტენდენტს, მყიდველის მოთხოვნით შესაძლებელია დამატებით მოეთხოვოს შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:**

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან პირის რეგისტრაციის შესახებ (ინფორმაციის მომზადების თარიღიდან არ უნდა იყოს გასული 14 დღე);
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ინფორმაციის მომზადების თარიღიდან არ უნდა იყოს გასული 14 დღე);
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის (ინფორმაციის მომზადების თარიღიდან არ უნდა იყოს გასული 7 დღე);
- საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა (დადასტურებული სველი ბეჭდით და ხელმოწერით) კომპანიის რეკვიზიტების შესახებ;

**შენიშვნა:** პრეტენდენტს, რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული შპს „ავერსის კლინიკა“-ს მიერ ბოლო 2 თვის განმავლობაში ჩატარებულ ტენდერში და წარმოდგენილი აქვს ზემოაღნიშნული საბუთები, არ ევალება მოცემულ ტენდერში მონაწილეობისათვის დამატებით წარმოადგინოს მითითებული დოკუმენტაცია, გარდა პრეტენდენტის მიერ მიწოდებული ანალოგიური საქონლის სიის, არანაკლებ ორი შემსყიდველი პირის რეკომენდაციისა, აფიდავიტისა, დანართის №1 და კატალოგისა. წინამდებარე გამონაკლისი არ ვრცელდება იმ პრეტენდენტზე, რომლის მონაცემებშიც შევიდა ცვლილება მითითებული პერიოდის განმავლობაში.

მყიდველის მოთხოვნით, ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე, პრეტენდენტებს ასევე შესაძლებელია მოეთხოვოს სხვა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა. სატენდერო განცხადებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს პრეტენდენტის ტენდერიდან დისკვალიფიკაციის საფუძველი.

**შენიშვნა:** ტენდერი ტარდება "1 კონვერტის პრინციპით", რომელიც არ ითვალისწინებს ვაჭრობის ეტაპს<sup>1</sup>. შესაბამისად, პრეტენდენტ(ებ)ის მიერ სატენდერო განცხადებაში უნდა მიეთითოს მათ მიერ მიწოდებული საქონლის საბოლოო ღირებულება.

წინამდებარე ტენდერის საფუძველზე პრეტენდენტ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი პერსონალური მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხილულ იქნება მხოლოდ წინამდებარე ტენდერის ფარგლებში. ამასთან, წინამდებარე სატენდერო განცხადების საფუძველზე პრეტენდენტ(ებ)ის მიერ სატენდერო წინადადების (შესაბამისი დოკუმენტაციისა და მათ შორის პერსონალური მონაცემების) წარმოდგენა ადასტურებს პრეტენდენტ(ებ)ის თანხმობას აღნიშნული პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ საკონტაქტო პირს:

- 1) დავით ედიშერაშვილი  
„ავერსის კლინიკა“-ს სამედიცინო ტექნიკისა და ტექნოლოგიების  
სამსახურის ხელმძღვანელი  
ტელ: 577 27 47 14  
ელ.ფოსტა: dato.edisherashvili@aversi.ge
- 2) მარიამ გამხიტაშვილი

<sup>1</sup> ერთი კონვერტის პრინციპის ჩატარების წესებისათვის იხილეთ <http://etenders.ge/Page/Instructions>

„ავერსის კლინიკა“-ს იურისტი

ტელ: 558 10 13 30

ელ. ფოსტა: [mari.gamkhitashvili@aversi.ge](mailto:mari.gamkhitashvili@aversi.ge);